№ 28 26 Იანვარი, შაბათი. 1866--1880 26 Იანვარი, შაბათი. № 28

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის. Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроба" „Иверія"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის საგენტოსი)

**ლონდონი**, 24 იანვარს. დღეს, ნასადილევის 2 ნახევარ საათზე, კოროლევა ვიქტორიამ გახსნა პარლამენტი; სატახტო სიტყვა ლორდ კერნსმა წაიკითხა. ამ სიტყვაში გამოცხადებულია იმედი, რომ ევროპაში მშვიდობიანობა არ იქნება დარღვეული.

### პურის სიძვირეზედ

თფილისი, 25 იანვარს.

Ათ კაცში ერთს ვერ შეხვდებით ახლანდელ დროში, რომ არ წუწუნებდეს, არ სჩიოდეს ყველაფრის სიძვირეზედ, ცხოვრების გაჭირებაზედ და უსაშვალობაზედ. Ყველა უკმაყოფილოა, ყველა სჩივის, ველში და ვახშში ვარდებიან, რომ ცხოვრების საშუალება, ლუკმა-პური მოიპოვონ და ცოდვილი ტანი შეიმოსონ.

Ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ეს სიძვირე იმიტომ ჩამოვარდაო, რომ ფული გაიეფდაო, გაელილ ომიანობის წყალობით, ბევრი გაჩნდა, გაიფანტა ჩვენს ქვეყანაშიო.

Ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ის ბევრი ფული ხალხში არ გაფანტულა, არ ჩავარდნილა ისეთის ხალხის ხელში, რომელსაც ახლა და მუდამ ცხოვრების საშუალება უჭირს; ომმა ფული მოიტანა, მაგრამ ეს ფული რამდენიმე კაცის ჯიბეში არის და მთელს ხალხს იმისი არა მოსცხებია-რა.

Პირ-იქით, ამ ხალხს ომმა ის მოუტანა, რომ ყველაგვარი ხორაგის ფასი ერთი-ორად და სამად აწია და ისე დაგვიტოვა ფას-აწეული; მოგვიტანა კიდევ ის, რომ ამ აწეული ფასების მიცემა მხოლოთ რამდენსამე კაცს შეაძლებინა და დანარჩენები კი გაჭირებაში ჩააგდო...

Მაგრამ ამ სიძვირისა და ხალხის შევიწროებულ მდგომარეობის მიზეზთა გამოკვლევას რომ შევუდგეთ, ერთობ შორს წავალთ, საქმე იმაშია, რომ ამ ჟამად საზოგადოთ მთელი კავკასიის ხალხი ძალიან გაჭირებულია სიძვირისაგან და ზოგან შიმშილიც გაჩნდა და ამ ხალხს როგორმე და რითიმე დახმარება, ხელის-მომართვა ეჭირება.

Ათასი რომ ვიფიქროთ, ათასი რომ ვატრიალოთ, ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ორის პრაქტიკულ საშუალების მეტს ვერ მოვნახავთ: ეს ორი საშუალება არის:

1) ქალაქის გამგეობამ დაათვალიეროს სარდაფები, რომლებშიაც თფილისის რამდენსამე ვაჭარს დამალული აქვთ პური, გამოატანინოს ამათ ბაზარში და სასტიკი თვალ-ყური ადევნოს, რომ დანიშნულ ტაქსიაზე ძვირად არ გაჰყიდონ; და

2) ამავე ქალაქის გამგეობამ მთავრობის წინაშე უნდა იშუამდგომლოს, რომ ინტენდანტსტვოდამ ან საზოგადოთ თავის მაღაზიებიდამ მისცეს ფქვილი იმ პირობით, რომ იაფ-ფასად (როგორც ხაზინას უჯდება) გაჰყიდოს გაჭირებულ ხალხზე და აქედამ შემოსული ფული ხაზინას დაუბრუნოს.

Კავკასიის მხრის სხვა ქალაქებსაც და უეზდებსაც შეუძლიან ამ საშუალებას მიმართონ; როგორც ჩვენს ქალაქში ისე სხვაგანაც ყველგან არიან ჩვენს ქვეყანაში უსინიდისო ვაჭრები—ჩარჩები, რომელნიც ამ გაჭირებულ დროებით სარგებლობენ იმისთვის, რომ ხალხს ტყავიააძრონ და თვითონ ჯიბეები გაივსონ. Ამათი ალაგმვა და ხალხის დაცვა ადგილობრივ ქალაქის თვით-მმართველობისა და საცა თვით-მმართველობა არ არის, ადმინისტრაციის ვალია. Ადმინისტრაციისა და თვით-მმართველობის ვალია აგრეთვე, ხაზინის წინაშე იშუამდგომლოს პურის სესხებაზედ.

Ისეთის პირებისაგან, რომელთაც პურის ვაჭრობის საქმე კარგათ იციან, გაგვიგონია ჩვენ, რომ პური, სიმინდი და ღომი კავკასიაში, ბლომათ თუ არა, იმდენი მაინც არისო, რომ სიძვირე არ იყოს, ხალხი არ დაიმშესო; ეს სიძვირე ვაჭრებისაგან წარმოსდგებაო და სხვ.

Მაშა სადამე, თუ ხაზინა და თვითონ ხალხის წარმომადგენელნი მოინდომებენ, პურის გაიაფება ძნელი საქმე არ იქნება...

### ახალი ამბები

—

Ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს გაზეთის გამოცემისა რუსულს ენაზედ და, თუ მოხერხდა, ქართულადაც. Მიზანი გაზეთის გამოცემისა იქნება საზოგადოების გაცნობა ამ ახლად-დაპყრობილ მხარესთან.

Მომავალის გაზეთისათვის, როგორც გვითხრეს, ჯერ არც პროგრამმა არის დაწერილი და ჯერ არც რედაქტორი ამორჩეულიათ. Იმედია, რომ ვისაც ამ გაზეთის დაარსება ჰსურს, რედაქტორის ამორჩევის დროს მიიღებენ მხედველობაში იმას, რომ რედაქტორმა იცოდეს იმ ხალხის ენა, რომელზედაც იმის გარშემო ლაპარაკობენ და იცნობდეს იმ ქვეყანას, სადაც გაზეთი გამოიცემა.

* * *

Ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს წარუდგენია პეტერბურღში უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად აზრი, რომ კავკასიის მხარეში შემოღებული იქმნეს საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების თანამდებობა, და ამათი დანიშნვა მინდობილი ჰქონდეს თვითონ კავკასიის მთავარ-მმართებელს.

* * *

Დღევანდელს „კავკაზში" დაბეჭდილია საინტერესო კორრესპონდენცია სპარსიდამ, რომლიდამაც, სხვათა შორის, ვტყობულობთ, რომ, რუსების შესვლის შემდეგ, სპარსის მაზრიდამ

## ფელეტონი

—

### თეატრის მატიანე

კოტე მესხის ბენეფისი: „სკაპენის ცუღლუტობა", კომედია მოლიერისა.—„ბუტიაობა", ვოდევილი აკაკი წერეთლისა.

—

Ჩვენი საზოგადოება მესხის ბენეფისსაც არა ნაკლების თანაგრძნობით დაუხვდა, ვიდრე გაბუნიას ქალისას, თუ აბაშიძისას. Თეატრი ოთხშაბათსაც გაჭედილი იყო ხალხით; მაყურებელთ ოთხშაბათსაც დიდი ალტაცება აღიარეს, როგორც თვითონ თეატრის ზალაში, ისე თეატრის გარეთაც. Კარგად ვიცი, რომ ამ გვარი დახვედრა ფრიად შესანიშნავია და სასიამოვნოც: ეს უსათუო ნიშანია, რომ საზოგადოებამ იცის ნამდვილის ნიჭისა და ხელოვნების დაფასება; რომ მაყურებელი არ მოაკლებს მოთამაშეს თავის თანაგრძნობას, თუ აკტიორმა მოჰგვარა მას ნამდვილი ესტეტიკური სიამოვნება, ცოტაოდენი მაინც. Ამ გვარი დახვედრა ცხადად ამტკიცებს, თუ რა გვარ აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს თეატრი ჩვენის საზოგადოებისთვის...

Ვიცი მეთქი, რომ ეს გარემოება სასიამოვნოა. Მაგრამ ვიცი კიდევ სხვა გარემოებაც, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, აშხამებს ამ სიამოვნებას: ვიცი რომ ჩვეულებრივ წარმოდგენებში ცოტა ხალხი დაიარება. Რისგან არის ეს? Როგორ მოთავსდნენ ერთი ერთმანეთში—ერთის მხრით, ხალხის უეჭველი მოთხოვნილება და მისგამო მაყურებელთა დიდ-ძალი გროვა ბენეფისის დროს, და მეორის მხრით, ამავე მაყურებელთ რიცხვის ნაკლებობა ჩვეულებრივ წარმოდგენებში? Ჩემის აზრით მიზეზი. ერთის მხრით, თვითონ ბენეფისში, თვითონ ბენეფისის არსებობაში უნდა მოვძებნოთ.

Დიდი ხანია გამოკვლეულია, რომ ბენეფისები საზოგადოდ მავნებელნი არიან სათეატრო ხელოვნების წარმატებისათვის. Აკტიორი მოელის ბენეფისს, როგორც აღდგომას და ფიქრობს: აი მაშინ გამოვიჩენ ჩემს ნიჭსა და ხელოვნებასაო. Მაყურებელიც ბენეფისს მოელის თეტრში წასასვლელად და ფიქრობს: აი მაშინ მომელის ბლომა და სრული სიამოვნებაო. Ამ გარემოების აუცილებელი შედეგი არის დაუდევნელი თამაშობა ჩვეულებრივ წარმოდგენებში.

Ამას რომ დაუმატოთ დანარჩენ აკტიორების გულნაკლულობა, რომელნიც მოკლებულნი არიან ბენეფისს, ცხადად დავინახავთ თუ რა მავნებელი გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოდ ბენეფისმა სათეატრო ხელოვნებაზე და, მაშასადამე, მაყურებელთა რიცხვის რაოდენობაზედაც, რომელიც დამოკიდებულია ამა ხელოვნების ავ-კარგიანობაზედ. Ეს მავნებელი გავლენა ბენეფისებისა უფრო საშიში უნდა იყოს ჩვენი თეატრისათვის, რომელსაც მხოლოდ გუშინ აუდგავს ფეხი და ჯერ მტკიცედ არა აქვს გაკაფული მსვლელობის გზა. Აკტიორების გამწრთვნელი არის ჩვეულებრივი წარმოდგენა და არა ბენეფისი. Თუ აქტიორი მიჩვეულია დაუდევნელ თამაშობას, ბენეფისშიაც გამოუსადეგი იქმნება. Მე ვამბობ ამას სხვა აქტიორებზედ და არა ბენეფიციანტზედ. Ბენეფიციანტმა, შესაძლებელია, დიდი მეცადინეობა და ხელოვნება გამოიჩინოს თავის ბენეფისში, მაგრამ ამით არა მგონია ძალიან ბევრი რამ შეჰმატოს თეატრის ავკარგიანობას, რომელიც უმთავრესად დამოკიდებულია საერთო თამაშობაზედ. Წარმოდგენა არის რთუ-

სულ 42,000 სული გადასახლებულა. მთავრობამ გამოისყიდა ზოგიერთი გადასახლებულების მამული და ამისთვის 250,000 მანეთი დაეხარჯა ხაზინასა. ამას გარდა ამდენივე ფული კერძო პირებისაგან მიიღეს გადასახლებულებმა.

ეს გადასახლება, ავტორის აზრით, უბედურებად ჩაითვლება როგორც თვითონ წასულებისათვის, აგრეთვე მთელი ამ მხრისათვის; ის დიდ ზიანს მოუტანს აგრეთვე თვით სახელმწიფოს.

კორრესპონდენტის შეხედულობით, გადასახლების უმთავრესი მიზეზი იყო და არის ის გარემოება, რომ მაჰმადიანები თავის თავს ახლა დაჩაგრულად და დამცირებულად ხედვენ, ადრე კი ბატონები, გამგებლები იყვნენ ამ ქვეყნისა; რუსების ჩამოსვლის შემდეგ დაინახეს, რომ იმათი ბატონობა მოისპო, და სხვა რომ ვერა შეიძლეს-რა, ისევ გადასახლება ირჩიეს.

უეჭველია, რომ კორრესპონდენტის ამ აზრს ცოტაოდენი საფუძველი აქვს; მაგრამ გარდასახლების მიზეზად მარტო ეს გარემოება არ ჩაითვლება.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 22 იანვარს. ამას წინეთ, იანვრის პირველ რიცხვებში, იყო პირველი კრება ურთი-ერთ-შორის კრედიტის საზოგადოების დამფუძნებელთა. ამ კრებაზედ აირჩიეს ბანკის მმართველად უფ. ნ. ღოღობერიძე და დირექტორებად უფ. მალევსკი და ლ. თუმანიშვილი.

თვითონ გახლდით კრებაში და დავესწარი ნახსენებ არჩევანს. ახლად არჩეულმა მმართველმა საზოგადოებას მადლობა შესწირა ნდობისა და არჩევისათვის და უთხრა, რომ ერთის წლის მეტად ვერ ვიკისრებ თქვენგან მოწოდებულ თანამდებობას, რადგან ამ გვარივე თანამდებობა მაქვს სადგილ-მამულო ბანკში და მოცალება არ მექნებაო.

როდესაც, ორი-სამი დღის შემდეგ, მეორეთ შეიკრიბნენ ხსენებული საზოგადოების დამფუძნებლები და აირჩიეს რჩევის წევრები, უფ. ღოღობერიძემ განაცხადა, რომ ის ველარ იკისრებს მმართველობას და თავს ანებებს. რჩევის წევრებად არჩეულნი იქმნენ უმეტეს ნაწილად ვაჭრები, დ. ნ. აბდუშელიშვილი და დ. ნ. ბაქრაძე (ყველა ამ წევრების სახელი და გვარი იყო კიდეც დაბეჭდილი „დროებაში“). უფ. ღოღობერიძე და მისი პარტია ძლიერ მონდომებულნი იყვნენ რჩევის წევრად გაეყვანათ უფ. ლ. ასათიანი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ მიიღო იმდენი თეთრი, რომ მისი წადილი შესრულებულიყო.

როცა მმართველსა და დირექტორებს ირჩევდნენ, პირველ კრებაზე, და ჰსჩანდა, რომ უფ. ლ. თუმანიშვილს ჰსურდა ამ თანამდებობაზედ გასვლა, ღოღობერიძენი წინააღმდეგობას უპირებდენ, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ძლიერ ბევრი იყო უფ. თუმანიშვილის არჩევის მსურველი, აღარ გაუწიეს წინააღმდეგობა, და ეს პირი არჩეულ იქმნა დირექტორად.

წასრულ წელში რომ კრება იყო სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა, ზედამხედველ კომიტეტს ბანკისას, სხვათა შორის, წინადადება ჰქონდა შედგენილი კრებაში წარსადგენად შესახებ ბანკის გამგეობის ხარჯის შემოკლებისა. ეს ამბავი ჰქონდათ გაგებული ბევრს ბანკის დამფუძნებელთაგანს და, როდესაც მოახლოვდა ჟამი ბანკის მმართველის არჩევისა, ჰსთქვეს ზოგიერთებმა, რომ გამგეობის ხარჯის შემოკლებაზე თუ ლაპარაკი გვქონდა, ახლა ვილაპარაკოთ, თორემ შემდეგ, როცა გამგეობაში მოსამსახურე პირებს აირჩევენ, ამ გვარი ლაპარაკი უადგილო იქნებაო, პიროვნებათ ჩამოგვართმევენო. თავმჯდომარეთ იყო უფ. ასათიანი, რომელმაც ეს წინადადება უკუაყენა და არჩევანს შეუდგა. შემდეგ არჩევანისა, რასაკვირველია, აღარავის მოუთხოვია, რომ გამგეობაში მოსამსახურე პირების ჯამაგირის შემცირებაზე ლაპარაკი ყოფილიყო.

ამ წელიწადში, როდესაც უფ. ასათიანი ქალაქის თაობაზე კენჭის ყრას აპირებდა და ზოგიერთ ხმოვანებისაგან წარმოთქმული იყო ჰაზრი, რომ ქალაქის გამგეობის ხარჯზე ლაპარაკი ყოფილიყო არჩევის წინეთ, უფ. ღოღობერიძე და მისი პარტია ნაფიცი ორატორებითურთ, ჰცდილობდნენ რაც შეიძლებოდა, რომ ჯერ არჩევანი მომხდარიყო და მერმეთ გამგეობის ხარჯზე ლაპარაკი. ასეც მოხდა. ერთმა ნაფიცმა ორატორმა — ხმოსანმა წარმოჰსთქვა შემდეგი უუჭეშმარიტესი ჰაზრი: არჩევანი უსათუოდ ახლა უნდა მოვახდინოთ და შემდეგ გამგეობაში მოსამსახურე პირების ჯამაგირზე ვილაპარაკოთო. ეს ასე სჯობიაო, რადგან ჯამაგირი უნდა იქმნეს დანიშნული იმის-დამიხედვით, თუ როგორი კაცი იქნება არჩეული: კარგი თუ ცუდიო; კარგს ბევრს მივცემთ და ცუდს ცოტასაო.

ქალაქის თავი უფ. ასათიანი ძლიერ მონდომილი იყო დაემტკიცებია ახალ ხმოსნებისათვის, რომ მდგომარე წლის შემოსავალი ხარჯს გარდაემეტება, რომ უფულობის ფიქრს ადგილი არ შეიძლება ექნეს. ამ ჰაზრის მომხრეები იყვნენ უფ. ღოღობერიძე და მისი პარტია, მაგრამ სრულებით წინააღმდეგი აღმოჩნდა.

ხსენებული ჰაზრის მომხრეები ძლიერ მონდომილნი იყვნენ აგრეთვე, რომ, რაც ხიდის შემოსავალს გადარჩებოდა ვალის გასტუმრების შემდეგ, ის გადანარჩენი მითვლოდა ქალაქის საზოგადო შემოსავალს და სხვა ჩვეულებრივ შემოსავალსავით დახარჯულიყო, მაგრამ ოპპოზიციამ ჰძლია, და ხიდიდან შემოსულ ფულების გარდანარჩენს მიეცა სპეციალური დანიშნულება: უნდა მოხმარდეს ჯაჭვის ხიდის გაკეთებას.

როდესაც შემოსავალ-გასავლის ანგარიში განიხილეს და ქალაქის თავი და ერთი წევრი არჩეულნი იყვნენ, წამოაყენა კითხვა უფ. ღოღობერიძემ შესახებ ქალაქის თავის და გამგეობის წევრების ჯამაგირისა, მაგრამ ოპპოზიციამ უარი განაცხადა მსჯელობისა ამ საგანზედ.

უფ. ა. ლორთქიფანიძემ სთქვა, ამ საგანზე ლაპარაკი შესაძლო იყო წინეთ, სანამ ავირჩევდით ვისმე. ახლა აღარ შეიძლება. ახლა ჯამაგირზე ლაპარაკს ის მნიშვნელობა მიეცემა, რომ უფ. ასათიანს და ი. მესხს მოვუკლოთ თუ მოვუმატოთ ჯამაგირი; იფიქრებენ, რომ ჩვენ პიროვნება გვაქვს სახეში და არა თანამდებობა, რომლისათვისაც უნდა ინიშნებოდეს ჯამაგირი. მომატება რომ არ შეგვიძლია, ამას ცხადათ ვხედავთ: ეს არის ახლა განვიხილეთ შემოსავალ-გასავლის ანგარიში და იქიდამ ჰსჩანს.

უფ. ან. ლორთქიფანიძე კი ამტკიცებდა, რომ ჰსცდებით, რომ ახლა აღარ შეიძლება ჯამაგირზედ ლაპარაკიო. ჯამაგირს ჩვენ უფ. ასათიანს და მესხს კი არ ვაძლევთ, მათ თანამდებობას ვაძლევთო.

საზოგადოთ ეტყობა, რომ ჩვენი ქალაქის რჩევის ხმოსანნი ადვილად არავის ათრევინებენ ყურით თავისთავს და სხვების „მაიმუნ გელდის“ დაძახებაზე მალაყს არ გადავლენ.

ქუთაისელი მემატიანე.

---

ლი საქმე, და მაყურებელსაც, როგორც ერთხელაც მოგახსენეთ, გამოაქვს თეატრიდამ რთული შთაბეჭდილება და არა ნაწყვეტ-ნაწყვეტი. ამიტომ, რაც უნდა უნაკლულო იყოს ბენეფიციანტის თამაშობა, მაყურებელი მაინც სრულად კმაყოფილი ვერ გამოდის თეატრიდამ. უველა ამას რასაკვირველია, გულის აცრუების მეტი არა მოსდევს-რა.

ამ გვარი აზრები გამომყვა თეატრიდამ, მესხის ბენეფისის შემდეგ. სწორედ მოგახსენოთ „სკაპენის ცუღლუტობაში“ მარტო კოტე მესხი იყო კარგი, თითქმის უნაკლულო, სხვა არავინ. მართალია მოლიერის კომედია თითქმის მთლად მარტო სკაპენის როლზედ არის დამყარებული, მაგრამ მაინც სხვა მომქმედნი პირნიც იმდენად რთულნი და ხასიათობრივნი არიან, რომ მათ გამოსახატავადაც საჭიროა თამაშობა და არა მარტო გავლა-გამოვლა სცენაზედ და ლაპარაკი. ამიტომაც „სკაპენის ცუღლუტობამ“ ვერ აწარმოვა ის შთაბეჭდილება, რომელიც შეეფერება მოლიერის კომედიას, თუმცა ცოტად დაძველებულს, მაგრამ მაინც გამოსადეგს, მეტადრე ჩვენს ღარიბ რეპერტუარში.

კოტე მესხი თითქმის უნაკლულოდ თამაშობდა მეთქი სკაპენის როლს. ამას, რასაკვირველია, ვამბობ იმ ღონისძიების და-კვალად, რომელიც აქვთ ჩვენს აქტიორებს და, საზოგადოდ, ჩვენს ახლად დაბადებულს თეატრს. ბენეფიციანტს ეტყობოდა, რომ წინადვე შეესწავლა თვისი როლი, ესე იგი წინადვე დაჰკვირებოდა იმ არსებით თვისებებს, რომელნიც მიუნიჭებია ავტორს სკაპენისათვის. მაგრამ უნდა გავახსენო ერთი შესამჩნევი ნაკლულევანება სკაპენის გამოხატულობაში, — ნაკლულევანება, რომელიც, ჩემის აზრით, არ სცილდება საზოგადოდ მესხის თამაშობას. მე ვამბობ პირის სახის თამაშობის (მიმიკის) ნაკლებობაზედ. მესხის პირის სახის მოძრაობა არსებობს თითქმის განსაკუთრებით წარბის შეკვრაში და თვალების ბჟუტვაში. მარტო ეს ორგვარი მოძრაობა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის იმ მრავალ გვაროვანის გრძნობის გამოსახატავად, რომელიც გულში უღვივის ადამიანს. „სკაპენის ცუღლუტობის“ მთელმა წარმოდგენამ ისე გაიარა, რომ თითქმის ღიმილი არ მოსვლია კ. მესხს. საზოგადოდ კ. მესხი ძალიან იშვიათად იცინის; მის მიმიკაში ღიმილი თითქმის სრულიად არ არსებობს. თუ მეტყვით: საქმეც ის არისო, რომ თითონ არ იცინის, მაგრამ ხალხი კი კვდება სიცილითაო, ამაზედ ქვევით გიპასუხებთ. თუ ავტორს გამოჰყავს იმ გვარი მომქმედი პირი, რომლის ზოგიერთა მოქმედობას უსათუოდ უნდა მოსდევდეს ღიმილი, მაშინ თავიდამ ბოლომდე პირ-შეჭმუხვნული თამაშობა დიდი ნაკლულევანებაა აქტიორისათვის. იცინის მაყურებელი, თუ არა ეს სხვაა; ეს თვითონ მომქმედის პირის კომიკურ მდგომარეობაზედ არის დამოკიდებული. აქტიორისა და მაყურებლის სიცილის შორის არავითარი კავშირი არ სუფევს. აი, როცა კ. მესხი სცენებს კითხულობს, მაშინ მართალია საქმეც იმაშია, რომ თითონ არ იცინოდეს და თეატრი კი იხოცებოდეს სიცილით. მაგრამ თამაშობაში კი ღიმილი არის ერთი მიმიკურ მოძრაობათაგანი, რომელსაც აქტიორი ამოქმედებს საჭიროებისამებრ.

სკაპენი ცუღლუტი და ეშმაკი ბიჭია. შეუძლებელია, რომ მას მთელის მოქმედობის განმავალობაში თითქმის არც ერთხელ არ გაეღიმოს. ბარაქალა კ. მესხის თამაშობას, რომ სკაპენის როლი მასხარათ არ გახადა; მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ცეტინიედამ იწერებიან პარიჟის გაზეთში, რომ ჩერნოგორიის მთავრობა აპირებს მისცეს პასუხი ოსმალეთის უკანასკნელ თხოვნაზე. მთავრობას უნდა, რომ ფაქტებით დაუმტკიცოს ოსმალეთს, რომ ამ უკანასკნელ აღელვებაში, რომელიც მოხდა ჩერნოგორელებს და ალბანელებს შუა, დიდ შემწეობას აძლევდნენ ალბანელებს ოსმალეთის როგორც სამხედრო აგრეთვე სამოქალაქო სამსახურის პირნი.

ამას გარდა მთავარი ნიკოლოზი უარს არ არის დაუთმოს ოსმალეთს პუჩი-დრაინი, როცა გუსინიას და პლავის გარდასცემენ ჩერნოგორიას.

—სტამბოლიდამ იწერებიან ვენის გაზეთში, რომ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთაც ურჩიეს ძალა მოეხმარებინათ ალბანელებზე, რომ მათ დაეთმო ჩერნოგორიისთვის ის ადგილები, რომელიც ბერლინის ტრაქტატით არის გარდაწყვეტილი, ოსმალეთმა თავისი გარეშე საქმეთა მინისტრის სავას-ფაშის პირით შეუთვალა, რომ იმას შეუძლია გაათავოს ყველაფერი მშვიდობიანად და ვერას დროს ვერ მოიხმარებს ძალას თავის ქვეშევრდომებზე.

—ჰანრი-ლეიარდი (ინგლისის ელჩი ოსმალეთის წინაშე) სწერს მარკიზ სალისბერის, რომ გამოგზავნოს მან რაც შეიძლება მალე მოსულში შემწეობა, რადგან ხალხი იხოცება შიმშილით.

—ნემეცურ გაზეთში იწერებიან 23 იანვრიდამ სტამბოლიდამ, რომ საბერძნეთის მთავრობა უგზავნის ევროპის სახელმწიფოებს მემორანდუმს, რომელშიაც გამოცხადებულია თუ რა გვარი მოლაპარაკება აქვსთ ბერძნებს და ოსმალებს იმ მიწების ჩაბარების შესახებ; რომელნიც ბერლინის ტრაქტატით არიან გადაწყვეტილნი.

—მადრიდიდამ იწერებიან, რომ აქიმების სიტყვით ის პირი, რომელსაც უნდოდა ისპანიის კოროლის მოკვლა, ჭკუაზე შემცთარი ყოფილა.

## წერილი რედაქციისადმი

უფალო რედაქტორო!

წასულ წელში რამდენჯერმე თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი სხვა-და-სხვა წერილები და შენიშვნები ქვა-გუნდის (მარგანეცის) თაობაზედ და უკანასკნელად ამა 1880 წ. მე-5 №-ში გამოვიდა აკაკი წერეთლის ვრცელი სტატია იმავე ქვა-გუნდის შესახებ.

მე, როგორც ერთი იმათგანი, რომელნიც მოქმედობდნენ ამ საქმეზედ, საჭიროდ ვრაცხ, სანამდისინ დაწვრილებით ავსწერდე ამ საქმის ყოველ გარემოებას, თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო რამოდენიმე შენიშვნები, რომელნიც დამჭირდება მასალად ომავალის ვრცელის წერილებისათვის. დღეს აი რაში მდგომარეობს საქმე:

აკაკი წერეთელი თავის სტატიაში ამბობს, რომ ის არის დამწყე ამ საქმისა, ის არის რომელმაც ასტეხა ხალხი და გააგებია მათ ვარგისობა ქვა-გუნდისა და სხვა. ამისი სრული თანახმა ვართ, მაგრამ იმის თანახმა კი ირავინ არის, რომ ვინმე რასმეში ხელს უშლიდეს, რადგან მისი ადგილები ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორც დასტოვა, მხოლოდ თხოულობენ დაუყონებლივ მუშაობას და რკინის გზას, როგორც ნათქვამია წერილში.—იმედია ესენი ყველაფერი თავის დროზედ ასრულდება; მაგრამ ერთი საქმე დაავიწყდა უფ. წერეთელს, რომ უბრალო ხალხი სრულებით არ კითხულობს გაზეთს და ის კეთილი აზრები და დარიგებანი, რომელნიც ნათქვამია სტატიაში, თითქმის დაკარგულია ხალხისათვის. შეიძლება გვიან თუ ადრე გაიგონ, მაგრამ დღეს არაფერში გამოადგებათ, და იმ უსინიდისო პირებისაგან, რომელთაც უნდათ ხალხის მოტყუება და გაცარცვა, დღეს გაზეთის სტატია იმ ხალხს ვერ იპატიებს.

ჩემის აზრით, თ. წერეთელმა, როგორც პუბლიცისტმა, როგორც მამულის შვილმა და მებატონემ იმ ქვეყნისა, სადაც მარგანეცი არის, უფრო დიდი ვალდებულება უნდა მიიღოს თავის-თავზედ: რატომ არ გაირჯება და არ ჩამოვა თავის მამულში. სიტყვიერათ და საქმით არ დაუმტკიცებს მეპატრონეებს იმას, რასაც ბეჭდვით ამბობს თფილისში, და იპატიებს გამოუცდელ და ღარიბს ხალხს იმ ექსპლოატორებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ძალიან ადვილად მათი მოტყუილება. ჩემის აზრით პირველი საქმე თ. აკაკი წერეთლისა ის არის რომ, თავის კეთილი განზრახვა გაატაროს ხალხში და როგორც დამწყემ ამ საქმისა, შეასრულოს რასაც ამბობს.

დღეს კი შემდეგი პირები არიან წარმომადგენელნი იმ კამპანიისა, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ზემოხსენებულნი მადნეული და გვპირდებიან როგორც პატრონების გაკეთებას, ისე ხალხისას (?!): პირველი არის ვილაც ბარონი მერცენ-ფელდი, მისი ვექილი უფ. ფშრმანი, ადმინისტრატორი და შავი ქვის გამომტანი უფ. სახელგანთქმული ლენჩევსკი, მდივანი და პირობაების დამწერი უფ. სერჟბუტოვსკი, წევრი ჩვენი სალგეხო პრისუტსტვიისა, რომლის ხელშიაც არის რამდენიმე ნაწილის, ჩვენის მებატონეების და გლეხების ბედი და უბედურება.

ესენი ყველა დაჯირითობენ ვილაც პეტერბურღის ვახტერის და კამპ. ფულებით. ამ ცოტა ხანში გამოჩდება თუ რა შედეგი ექნება მათ მოქმედებას.

ადგილობრივი და საზოგადოთ ჩვენებური „საქმის კაცები“ რომ დავასახელო, ძალიან შორს წავა, რადგან ერთობ ბევრია და ამასთან საჭიროც არ არის, რადგან თავის დროზე ყოლიფერი გამოაშკარდება. მხოლოდ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ომიანობის დროს გამდიდრებულნი პირებიც კი შეათამაშა ამ საქმემ, მაგალითად, უფ. რიხტერი და ჩხიკვაძე; შეიძლება პატარა ხანს იქით მირზოევიც კი გამოვიდეს სცენაზე. ერთის სიტყვით, რა ამბებია ამ ქვა-გუნდის თაობაზედ და შემდეგში რა იქნება ღმერთმა იცის!

არა უდროოთ ვპოვებ ამათთან მოვიხსენიო გრაფი სოლოგუბი და ვილაც ვიკონტი დე-პიეტრი, რომელნიც მოვიდნენ წასულ წელში დიდის ფახა-ფუხებით და ვითომ მილიონებით, დააპირეს სამეგრელოში ტყეების ყიდვა და შემუშავება და მით ჩვენი გაკეთება; მაგრამ, დღეს, როგორც ვატყობ, გარჩნენ რიყეზე და საჩივრების და ტყვილების მეტი ვერაფერი ნაყოფი მოიტანა მათმა მოქმედებამ. ესენი კი, როგორც ამბობენ, ვილაც მარკიზის ფულებით დადიოდნენ მაღლა-მაღლა და თითონ მარკიზი როგორ უყურებს თავის ჯიბის წურბლებს, ის კი არ ვიცი..

ეს რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში განჩნდნენ იმისთანა პირები, რომელნიც არაფერს სისაძაგლეს და სიბილწეს არ ერიდებიან, თუ თავიანთი ჯიბე გაივსეს, და მოქმედობენ იმ ნაირათ, რომ ძალა-უნებურათ გაფიქრებიებენ კაცს, თითქო ისინი უნდა დაძრომოდნენ ხელიდამ მართლ-მსაჯულებს იმ დროს, როდესაც აღმოაჩინეს გროვა იმ აფერისტებისა და უსინიდისო კაცებისა, რომელნიც შეადგენდნენ კლუბს „**Червонныхъ валетовъ**“ და თავიანთი მოქმედების ასპარეზად გაიჩინეს კავკაზია იმ იმედით, რომ აქ უფრო უსწავლელი, გამოუცდელი და მართალი ხალხია, ვინემ ევროპაში.

აი, ესენი არიან ქვეყნის სენი. ესენი არიან ხალხის გამრყვნელი და ამრევი ყოველი რიგიანის ცხოვრებისა

---

გადაჭარბება, საითკენაც უნდა იყოს, არ ივარგებს. მიხვრა-მოხვრას (ჟესტიკულიაციას) და ლაპარაკს (დეკლამაციას) პირის სახის მიმიკაც რომ სრულიად აეყოლებინა, მაშინ მესხის თამაშობა მართლა რომ უნაკლოულო იქნებოდა.

მიმიკის ნაკლებობა სხვაფრივადაც დაეტყო მესხის თამაშობას სკაპენის როლში. მართალია, სკაპენი გამოქნილი კაცია ყოველ-გვარ ეშმაკობაში და ცუღლუტობაში, მაგრამ მაინც შეუძლებელია, რომ წინადვე ჰქონდეს გაზეპირებული თუ ამა-და-ამ გაჭირებაში ესა-და-ეს ხერხი უნდა ვიხმარო. მართალია, ეს ხერხი სწრაფად უნდა მოუვიდეს თავში, მაგრამ ცოტაოდენად მაინც უნდა გამოიჩინოს მიმიკით თვისის ჭკუის მუშაობა.

დანარჩენ აქტიორებზედ რა მოგახსენოთ? მოლიერის კომედიაში სკაპენის შემდეგ გამოსაჩენი მოქმედნი პირნი არიან არგანტი და ჟერონტი. კოტე ყიფიანისაგან (არგანტი) მეტს მოველოდით. არგანტი, მართალია, ხნიერი კაცია, მაგრამ არც ისე ბებერი უნდა იყოს რომ დაფამფალებდეს. ყიფიანს რომ მეტი მოძრაობა გამოეჩინა თამაშობაში უკეთესი იქნებოდა. როლი უკეთ იცოდა ვიდრე ჩვეულებრივ. მაინც, მესხის ბენეფისზედ უნდა მოგახსენოთ, რომ აქტიორებმა არა ჩვეულებრივი მეცადინეობა გამოიჩინეს როლების გაზეპირებაში, თუმცა მესამე მოქმედებაში ერთ ადგილას ცოტა აურ-დაურიეს; მაგრამ ესეც იმიტომ, რომ ზოგიერთა მოთამაშენი უდრო-უდროდ გამოვიდნენ სცენაზედ.

აკაკი წერეთელზედ (ჟერონტი) არა მეთქმის-რა, რადგანაც აქტიორი არ არის და მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებამ გამოიყვანა სცენაზედ.

დანარჩენი აქტიორები რაღასაც თამაშობდნენ, მაგრამ რას, რა წოდებისა და ტომის კაცებს არდგენდენ—რა მოგახსენოთ. ისიც კარგი, რომ ერთი-ერთმანერთს არ უშლიდნენ, და იმიტომ „სკაპენის ცუღლუტობამ“ ხეირიანად ჩაიარა.

აკ. წერეთლის ვოდევილი „ბუტიაობა“ არის ცოცხალი და კარგი გასართობი პიესა. აქაც კოტე მესხმა იგივე ნაკლულევანება გამოიჩინა, როგორც მოლიერის კომედიაში, ე. ი. მიმიკის ნაკლებობა. პირველ სცენაში, როდესაც მესხი და აბაშიძის ცოლი (საფაროვის ქალი) მოქმედობენ—თავი და თავი საქმე მიმიკაა, პირის სახის თამაშობაა. აბა შეხედეთ საფაროვის ქალს ამ სცენაში: მის პირის სახის თამაშობას სიტყვების აყოლა თითქმის აღარც კი უნდოდა.

კოტე მესხის მიმიკის ნაკლებობაზედ რომ ვამბობ აზრში მაქვს ის მიმიკური მოძრაობა, რომელიც შეეხება სიცილს, სიმხიარულეს, შინაგან კმაყოფილებას და სხვ. ამგვარს. აი, როცა, ამავე ვოდევილში, კ. მესხს ყელში მივარდნენ, დაგახრჩობო, მაშინ მესხის პირის გამომეტყველობა სრულიად უნაკლულო იყო.

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ მშვენიერი ვოდევილი აკ. წერეთლისა ძალიან ცოცხლად იყო წარმოდგენილი და ბევრი სიცილი მოჰგვარა ამ პიესამ მაყურებელთ.

და კანონისა! ამისთანა პირებზედ უნდა იყოს მიქცეული ყურადღება, როგორც პრესსისა (გაზეთებისა), ისე მმართებლობისა, და მით იყოს დაფარული ჩვენი საზოგადოება და ქვეყანა.

ივანე აბაშიძე.

ქუთაისი, 17 იანვარს.

---

# განცხადებანი

კერძოობითი

## თფილისის სახელოსნო კლუბი

თფილისის სახელოსნო კრების (კლუბის) სტარშინების რჩევა სთხოვს უფალთ თავი წევრთა, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება შაბათს ამ 26 იანვარს საღამოს 7 საათზედ, ზოგიერთ ისეთ მძიმე საქმეების განსახილველად, რომელნიც კრებას შეეხებიან.

(4—4)

---

შაბათს, 26 იანვარს

თფილისის თეატრში იქნება

სპექტაკლი

## დამშეულთა სასარგებლოდ

მონაწილეობას მიიღებენ: რუსის, ქართველის და სომხის არტისტები, აგრეთვე თ. დ. გ. ერისთავი, ო. ვ. პალცოვისა, პ. ადამიანი, ქ. სირანუშ და სლავიანსკი თავის ხორით.

ადგილების დაჭერა სპექტაკლისათვის შეიძლება ამ ორშაბათიდამ, 21 იანვრიდამ, „თფილისის მოამბის“ რედაქციაში.

(7—7)

---

შავერდოვის გაზეთის სააგენტოში

ისყიდება ახალი ქართული წიგნი

## „საახალწლო“

შედგ. ნ. ნიკოლაძისა

(გამოცემა შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი)

შინაარსი: „სიზმარი“ ლიუდოვიკ ჰალევის მოთხრობა (ფრანც. ნათარგმნი), —„სტუდენტობის პირველი დრო“ (1861),—„მამულის სიყვარული და მამულის მსახურება.“

„საახალწლო“ პატარა ტომია, 352 ფურც. ფასი 50 კაპ. გაგზავნით 60 კაპ.

(3—2)

---

რედაქციაში დარჩენილია რამდენიმე სრული ეგზემპლიარი შარშანდელის „ივერიისა“. მსურველს შეუძლიან შეიძინოს ეს წიგნები ან თვითონ „დროება-ივერიის“ რედაქციაში და ან უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

---

1879 წლის განმავლობაში სულ ათი წიგნი გამოვიდა „ივერიისა“. თითო წიგნი ათ შაურად ისყიდება. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ფოჩტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ თითოეულ წიგნზე 16 კაპ. ანუ ყველა ათს წიგნზე—1 მან. 60 კაპ.

---

სახაზინო

კავკასიის პრიკაზი აცხადებს, რომ თებერვლის 11-ს იქნება გაჭრობა (ტორგი) ქვემო ხსენებულ პირთა სახლების გაყიდვაზედ, რადგან ამ პირთ თავის დროის პრიკაზის ვალი ვერ გარდაუხდიათ; სამის დღის შემდეგ დანიშნული იქნება ხელმეორედ გაჭრობა:

1) კ-ნა პელაგია ივანეს ასული ტუსიევის სახლი, თფ. 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში, № 629. 1877—300 მან.

2) თფილისის მოქალაქის ანდრია გლამაზდინის სახლი, თფ. 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში, ნიკოლაევის ქუჩაზე. 1876 წ.—14,500 მან.

3) სერგეი იახშიბეგოვის სახლი, 2 განყოფ. მე-14 უჩასტ., ავლაბარში. 1876 წ.—1,900 მან.

4) ივანე სარქ. არუთინოვის სახლი, 2 განყ. 13 უჩასტ., ავლაბარში № 261. 1875 წ.—2,000 მან.

5) ამავე არუთინოვის სახლი, იქვე № 261. 1876 წ.—2,000 მან.

ვისაც ამ სახლების ყიდვა სურს, დაწვრილებით სიების ნახვა პრიკაზში შეუძლიან.

(3—1)

---

კავკასიის საინჟინერო უპრავლენიაში მომავალი თებერვლის 7-ს დანიშნულია ვაჭრობა (მხოლოთ ერთხელ) შემდეგ მუშაობის იჯარით მიცემაზედ ქ. თფილისში:

1) უნდა აშენდეს სახლი თფილისის არტილლერიის სახელოსნოს ცეცხლის საქრობ მაშინისათვის. ამისათვის დანიშნულია 3,192 მან. 51 კაპ.

2) ამ არტილლერიის სახელოსნოს გარშემო უნდა გაკეთდეს ღობე—2,356 მან. 64 კაპ.

3) ამავე სახელოსნოსათვის უნდა აშენდეს ფეხის-ადგილები—5,341 მან. 23 კაპ.

4) უნდა აშენდეს ფეხის-ადგილები თფ. პოლკის ყაზარმებისათვის—5,838 მან. 47 კაპ.

5) უნდა გაკეთდეს სარდაფი, შემისათვის შესანახი და საკუჰნაო ოთახი ინჟინერის უპრავლენიის მწერლებისა და კონდუქტორებისათვის — 1,439 მან. 70 კაპ.

ვისაც ამ საქმის იჯარით აღება ჰსურს, დაწვრილებითი პირობებისა და სმეტის ნახვა შეუძლიან საინჟინერო უპრავლენიაში დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 3 საათამდინ.

(3—2)

---

# რედაქციისაგან

1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიცა შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი ამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.*

### ფასი

| | | | | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“, | ერთად | | | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ | — | — | | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ | — | — | | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირება —5 კაპეიკი.

— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ“ ფირმით

სავაჭრო სახლი

## კასუმოვი იაგორ და კომპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმებას დაეხმაროს.

თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს

## 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა.

მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივიდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.

3) შესანახავად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებლად საჭირო საგნები გააიაფოს თფილისში.

ამხანაგობა მიიღებს;

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წელიწადში.

— — კვირაობით გადაიხდიან 7% წელიწადში.

თვითონ აძლევს:

1. დროებით შეტანილს ფულში უპირობოთ და პირობით } 4½ პროცენტს.

2. მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში

3. ვადით შეტანილს ფულში: 6 თვით — 5 პროც.
9 თვით — 6 „
1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა ღიაა დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ,

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Января 1880 г. Типографія Меликова, გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.